

**პროგრამის სახელწოდება:** პროგრამები (*Photoshop-ი, Autodesk 3ds Max, Autodesk-Autocad*) მშენებლებისათვის

**პროგრამის სახე:** პროფესიული გადამზადება

**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:** 3

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 12

**კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** საშუალოდ 10-11-12

**სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა -** 139 სთ

**მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:**

მინიმალური -6 მაქსიმალური -12

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** პირი რომელმაც მიაღწია 18 წელს, აქვს გარკვეული ცოდნა და გამოცდილება არსებულ პროფესიაში და ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა-უნარები „პროგრამების (*Photoshop-ი, Autodesk 3ds Max, Autodesk-Autocad*) მშენებლებისათვის“ პროგრამაში და დასაქმდეს აღნიშნული სპეციალობით;

**პროგრამის მიზნები:** პროგრამის მიზანია მსმენელმა გაიღრმავოს ცოდნა/უნარები და შეძლოს

1. Photoshop- ის სამუშაო სივრცის მომზადება, პალიტრების შერჩევა და ინტერფეისის გამოყენება.

2. შეძლოს გამოსახულების რედაქტირება და ეფექტების გამოყენება.

3. შეძლოს Photoshop-ში მხატვრული გამოსახულების შექმნა რასტრული და ვექტორული გრაფიკის ელემენტების გამოყენებით.

4. შეძლოს ფოტოსურათის დამუშავება და ბეჭდვა.

5. შეძლოს ანიმაციის შექმნა.

6. შეძლოს Autodesk 3ds Max პროგრამაში ობიექტის სივრცობრივი სამგანზომილებიანი გამოსახულების შექმნა.

7. შეძლოს Autodesk-Autocad-ში ობიექტის ნახაზის შექმნა.

აგრეთვე სპეციალობასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და კომპეტენციები, შეძლოს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება; იყოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი.

## სწავლის შედეგები :

### პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. Photoshop- ის სამუშაო სივრცის მომზადება, პალიტრების შერჩევა და ინტერფეისის გამოყენება.
2. გამოსახულების რედაქტირება და ეფექტების გამოყენება.
3. Photoshop-ში მხატვრული გამოსახულების შექმნა რასტრული და ვექტორული გრაფიკის ელემენტების გამოყენებით.
4. ფოტოსურათის დამუშავება და ბეჭდვა.
5. ანიმაციის შექმნა.
6. Autodesk 3ds Max პროგრამაში ობიექტის სივრცობრივი სამგანზომილებიანი გამოსახულების შექმნა.
7. Autodesk-Autocad-ში ობიექტის ნახაზის შექმნა.

**პროგრამის შემუშავების საფუძველი:** სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 29 დეკემბერი #884 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება: #18 05.01 2018; #459 05.06 2018; #85/ი31.012019) ხის ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #41 ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“.

**პროგრამის მოკლე აღწერა:** პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს ამ სფეროში მუშაობის გარკვეული გამოცდილება და სურვილი აიმაღლოს ცოდნა მოკლე დროში.

პროგრამის ხანგრძლიობაა 12 კვირა, 139 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვაა საშუალოდ 11-12 სთ. სწავლების მეთოდებია: ლექცია/პრაქტიკული სავარჯიშო, დემონსტრირება. ხოლო შეფასების მეთოდებია: პრაქტიკული დავალება/პროდუქტი. დაკვირვებით; გამოკითხვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია Photoshop-ის სამუშაო სივრცის მომზადება, გამოსახულების რედაქტირება, Photoshop-ში მხატვრული გამოსახულების შექმნა, ფოტოსურათის დამუშავება და ანიმაციის შექმნა, აგრეთვე Autodesk 3ds Max პროგრამაში ობიექტის სივრცობრივი სამგანზომილებიანი გამოსახულების შექმნა, Autodesk-Autocad-ში ობიექტის ნახაზის შექმნა.

პროფესიული მომზადების ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს.